



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

პანდემიის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები

ვლადიმერ პავაპა

თბილისი, 2022



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

კანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები

ვლადიმერ კაკავა

2022

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
თბილისი, 2022 წელი

ISBN 978-9941-8-4254-2

შესავალი

2020 წლიდან, გაზაფხულიდან, მსოფლიო COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ მოიცვა (WHO 2020). იმის გამო, რომ კორონავირუსის გავრცელება ადამიანების უშუალო კონტაქტებით ხდება, ამ კონტაქტების შეზღუდვის მიზნით ცალკეული ქვეყნების მთავრობები იძულებული გახდნენ ეკონომიკის მთელი რიგი დარგების ფუნქციონირება შეეჩერებინათ (IMF 2020b). შეჩერებულმა ეკონომიკამ კი, თავის მხრივ, გლობალური ხასიათის ეკონომიკური კრიზისი ჩამოაყალიბა (Baldwin and di Mauro 2020; Roach 2020b).

2020 წლისგან განსხვავებით, 2021 წლისათვის კორონავირუსის სანინააღმდეგო სხვადასხვა ტიპის ვაქცინა შეიქმნა, რამაც შესაძლებელი გახადა მსოფლიო მასშტაბით ვაქცინაციის პროცესის დაწყება. საყურადღებოა, რომ მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მსოფლიოში არაერთ წინააღმდეგობას შეხვდა. კერძოდ, ისეთს, როგორიცაა ქვეყნებს შორის ვაქცინების არასამართლიანი განაწილება, ვაქცინების საყოველთაო ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ანტივაქსერული მოძრაობა და სხვა (მაგალითად, El-Erian 2021c; Malpass 2021; Papava 2020c, 2021d; Woods 2021a). მიუხედავად ამისა, ვაქცინაციის პროცესის დაწყებამ COVID-19-ის პანდემიის დასრულების რეალური იმედი გააჩინა.

COVID-19-ის პანდემიიდან თავის დაღწევის რეალურმა შესაძლებლობამ ახალი ტერმინი – „პანდექსიტი“ (“Pandexit”) – გააჩინა, რომელიც ჩამოყალიბდა ცნობილი ტერმინების – Grexit, Italexit, Frexit и Brexit – მსგავსად, სადაც საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის ინგლისური სახელწოდებების დასაწყის ნაწილს სუფიქსის სახით დაემატა ინგლისური “exit” (ქართულად „გასვლა“), თითოეული ამ ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლის პროცესის აღსანიშნავად (სინამდვილეში კი, მხოლოდ ბრექსიტი მოხდა). შესაბამისად, „პანდექსიტი“ ნიშნავს პანდემიიდან გასვლას, პანდემიის დასასრულს (Davies 2021).

აღსანიშნავია, რომ ტერმინ „პანდექსიტის“ შექმნამდე იყო მცდელობა შექმნილიყო ტერმინი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა კრიზისიდან გასვლის, მისი დასრულების აღნიშვნა. ამან, იმავე პრინციპით, როგორც ზემოხსენებული ტერმინები შეიქმნა, გააჩინა ახალი ტერმინი – „კრიზექსიტი“ (“Crisexit”) (GEAB 2017; Larbi 2019).

ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დასაწყისში აქტუალური იყო არა მარტო პანდემიის პირობებში წარმოქმნილი ეკონომიკური სირთულეების შესწავლა, არამედ პოსტპანდემიური პერიოდის გააზრებაც, ანუ იმის განჭვრეტა, თუ რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდება მსოფლიო პანდექსიტის შემდეგ (მაგალითად, არჩვადე 2020ბ; Aptsiauri 2020; Auzan 2020; Gaganidze 2020; Kovzanadze 2020; Rodrik 2020; Schwab and Malleret 2021; Shengelia and Kirkitadze 2020; Zakaria 2020). ბუნებრივია, რომ პანდექსიტის გამოწვევები მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს. ასე,

მაგალითად, COVID-19-ის პანდემიის პირობებში, ზოგიერთი ქვეყნის მმართველობაში ავტორიტარულმა ტენდენციებმა იმძლავრა (Woods 2021b), რაც პანდექსიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იქნება.

წინამდებარე კვლევის მიზანი კი პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევების განსაზღვრაა, რაც როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს პოსტპანდემიური პერიოდის პრობლემებში უკეთ გარკვევას შეუწყობს ხელს.

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის შესახებ

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, გლობალური მასშტაბიდან გამომდინარე, თავიდანვე მოექცა ეკონომისტთა ყურადღების ცენტრში. უფრო მეტიც, კორონავირუსის ეკონომიკაზე ზეგავლენის შესწავლის სფეროსთვის ცალკე ტერმინიც კი შეიქმნა. კერძოდ, ესაა „კორონომიკსი“ (“Coronomics”), რომელიც ორი ტერმინის „კორონა“ (“Corona”) და „ეკონომიკსის“ (“Economics”) გაერთიანებით მიიღება (de Alwis 2020). იმავე ორი ტერმინის გაერთიანებით მოგვიანებით ასევე შეიქმნა კორონომიკსიდან მცირედით განსხვავებული ტერმინიც – „კორონანომიკსი“ (“Coronanomics”) (Eichengreen 2020).

ტერმინი „კორონომიკსის“ გამოყენებით COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისს „კორონომიკური კრიზისი“ დაერქვა (ბენაშვილი 2020; მექვაბიშვილი 2020; ქარაია 2020; Papava 2020a; Papava and Charaia 2020).

აშკარაა, რომ კორონომიკური კრიზისი ეკონომიკაში არ წარმოქმნილა – ის კორონავირუსის მიმართ მედიცინის უსუსურობის შედეგია, როცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ვირუსის გავრცელების შესაფერხებლად აუცილებელი გახდა ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტების შეზღუდვა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ფუნქციონირების შეჩერების გზით. მაშასადამე, კორონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზი ეგზოგენურია და არა – ენდოგენური, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარებს, რომ ამ კრიზისის დასრულება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როდის შეძლებს მედიცინა კორონავირუსის დამარცხებას. ამრიგად, COVID-19-ის პანდემიის პირობებში ეკონომიკა მედიცინის მძევალი გახდა (Papava 2020a).

რადგანაც კორონომიკური კრიზისი უშუალოდ ეკონომიკაში არ ჩასახულა, ამიტომ მას ვერ მივაკუთვნებთ კლასიკური, ტიპური ეკონომიკური კრიზისების ჯგუფს. აშკარაა, რომ კორონომიკური კრიზისი არა უბრალოდ ატიპური ეკონომიკური კრიზისია (Papava 2020d), არამედ უნიკალურიცაა (Ajili 2020).

საყურადღებოა, რომ ტიპური ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გამოცდილების უშუალო გამოყენებას, ატიპური ეკონომიკური კრიზისის

დაძლევის მიზნით (Skidelsky 2021), სწორედ ამ უკანასკნელის ატიპურობის (მათ უნიკალურობაზე რომ არაფერი ვთქვათ) გამო, გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა დაავადების პანდემიებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისები (Roach 2020a), თუმცა კორონომიკურ კრიზისს ყველაზე მეტად ჰგავს ის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 1918 წელს „ესპანური გრიპის“ პანდემიამ გამოიწვია (მაგალითად, Bishop 2020; De Santis and Van der Veken 2020; Maas 2020; Ullman 2020). მართლაც, ორივე კრიზისისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური აქტიურობის, წარმოების მოცულობის და მოსახლეობის შემოსავლების შემცირება, თუმცა ამ კრიზისებს შორის განსხვავებაც არის (Scheidel 2020). ამ კუთხით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მომენტები (Papava and Chkuaseli 2021a, 9-10):

1. ესპანური გრიპით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი პრაქტიკულად „გადაება“ პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, რომელმაც, თავის მხრივ, ჩამოაყალიბა ეკონომიკური კრიზისი, რომლის გამომწვევი მიზეზიც იყო ამ ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკა. კორონომიკური კრიზისი კი ჩამოაყალიბდა სრულად მშვიდობიან გარემოში.
2. ესპანური გრიპის პანდემიის პირობებში მსოფლიო იმდენად გლობალიზებული არ იყო, როგორც ის კორონომიკური კრიზისის დროსაა, რის გამოც გლობალიზებული ეკონომიკის პირობებში მიწოდების და ღირებულების გლობალურმა ჯაჭვებმა დაიწყო რღვევა (Derviş and Strauss 2020).
3. ესპანური გრიპის პანდემიის დასაწყისში ტურიზმი და საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვები იმდენად არ იყო განვითარებული, როგორც COVID-19-ის პანდემიის დაწყების წინ, როცა უკვე მიღწეული ჰქონდა გლობალური მასშტაბებისთვის და ამის გამო კორონომიკური კრიზისის პირობებში ყველაზე „მძიმე დარტყმა“ ეკონომიკის სწორედ ამ ორმა დარგმა მიიღო.

მას შემდეგ, რაც 2021 წელს მსოფლიოში გამოჩნდა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინები და, შედეგად, ვაქცინაციის პროცესიც დაიწყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე დაწესებული შეზღუდვები თანდათანობით შემცირდა და ზოგიერთზე მოიხსნა კიდევ. ამან ეკონომიკის გამოცოცხლებას სათანადო ბიძგი მისცა (O'Neill 2021b). იმავდროულად, არაჯეროვანი ვაქცინაციის პირობებში, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება კორონავირუსის ევოლუციონირების პრობლემა, როცა ამ ვირუსის ახალი შტამები ჩნდება (მაგალითად, DW 2022), რაც ბუნებრივად აჩენს კითხვებს იმის შესახებ, ხომ არ ექნებათ მათ ეკონომიკაზე დამანგრეველი ზემოქმედება (Pazzanese 2021) ან, უკეთეს შემთხვევაში, რამდენად სტაბილური იქნება პანდემიის

პირობებში დაწყებული ეკონომიკური აღმავლობა (O'Neill 2021c). სხვა სიტყვებით – პასუხგასაცემია კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენადაა შესაძლებელი პანდექსიტის გარეშე კორონომიკური კრიზისის დასრულება (Papava 2021b).

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის მარტივი, რადგანაც ჯერჯერობით არავის შეუძლია იმის მეტ-ნაკლებად რეალური განჭვრეტა, თუ რამდენადაა შესაძლებელი ეკონომიკური საქმიანობის მორიგი შეზღუდვების შემოღება კორონავირუსის ახალი შტამების არაპროგნოზირებადი ფორმირებისა და გავრცელების პირობებში. თუ საზოგადოებრივ ჯანდაცვაში სიტუაცია ძალიან არ დამძიმდა, მაშინ ეკონომიკური საქმიანობის ახალი შეზღუდვების შემოღება ნაკლებადაა მოსალოდნელი და შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჯერჯერობით არაა დადგარი პანდექსიტის პირობებში შესაძლებელი იქნება კრიზექსიტის მიღწევა. თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კორონომიკური კრიზისის დასრულების საკმარისი პირობა მხოლოდ და მხოლოდ პანდექსიტია.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ COVID-19-ის პანდემიამ როგორც მსოფლიო ეკონომიკის, ისე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკათა წინაშე არაერთი პრობლემა შექმნა. მომავალი პანდექსიტი კი, სავარაუდოდ, ამ პრობლემებს კიდევ უფრო გაამწვავებს და ახალ გამოწვევებსაც შექმნის.

გლობალიზაცია თუ დეგლობალიზაცია?

როგორც ცნობილია, ნებისმიერი პანდემია და, რა თქმა უნდა, COVID-19-ის პანდემიაც გლობალური ფენომენია, რამაც დღის წესრიგში დააყენა გლობალიზაციის შესახებ არსებულ შეხედულებათა ხელახალი გააზრება (მაგალითად, არჩვადე 2020ა; მექვაბიშვილი 2020; Abesadze 2020; El-Erian 2020; Haass 2020; Rogoff 2020).

საყურადღებოა, რომ COVID-19-ის პანდემია შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც „გლობალიზაციის საფასური“ (Auzan 2020, 4). ეს არც არის გასაკვირი, თუკი გათვალისწინებით, რომ არა გლობალიზაცია, კორონავირუსით გამოწვეული დაავადება პანდემიად, როგორც ასეთად, ვერ ჩამოყალიბდებოდა.

კორონავირუსის არაპროგნოზირებადმა და სწრაფმა გავრცელებამ ცხადყო, რომ COVID-19-ის პანდემიას მოუშადადებელი შეხვდნენ როგორც ეროვნული მთავრობები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები (უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია), რის გამოც ვირუსის გავრცელების შეზღუდვის გადანყვეტილებები ცალკეულმა ქვეყნებმა ინდივიდუალურად მიიღეს. საყურადღებოა, რომ შვედეთმა და ბელარუსმა თავიდანვე უარი თქვეს შეზღუდვების შემოღებაზე და ორიენტაცია ჯოჯური იმუნიტეტის ჩამოყალიბებაზე აიღეს.

კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ ეროვნულ მთავრობათა არაკოორდინირებულმა მოქმედებამ და საერთაშორისო ორგანიზაციების

პასიურობამ შექმნა იმის განცდა, რომ დაიწყო გლობალიზაციის დასრულების პროცესი. ამგვარ მოსაზრებას ისიც აძლიერებდა, რომ ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე დეგლობალიზაციისათვის დამახასიათებელი პროცესები ინიცირებული იყო აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ (მაგალითად, Sachs 2017) და, რა თქმა უნდა, ამ პროცესებს ხელი ბრექსიტმაც შეუწყო (მაგალითად, O'Rourke 2019).

ეროვნულ მთავრობათა არაკოორდინირებულმა ქმედებებმა კიდევ უფრო გააღრმავა დეგლობალიზაციისათვის, უფრო ზუსტად კი, იზოლაციონიზმისათვის დამახასიათებელი მიწოდების და ღირებულების გლობალური ჯაჭვების რღვევა (Derviş and Strauss 2020).

როცა საქმე იზოლაციონიზმს ეხება, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის არა მარტო ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას, როგორც ასეთს (Rogoff 2020), არამედ, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება საზოგადოებაზე, როგორც სოციალური და პოლიტიკური, ასევე, განსაკუთრებით, გარემოსდაცვითი კუთხით (Haass 2020).

პანდემიის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, მისი დაძლევა იზოლაციონიზმის საფუძველზე პრინციპულად შეუძლებელია (Stiglitz 2020a). პირიქით, ცალკეული ქვეყნების მიერ გატარებულ ღონისძიებათა მხოლოდ მაქსიმალური კოორდინაციის გზით იქნება შესაძლებელი COVID-19-ის პანდემიის დაძლევა (Mazzucato and Torreele 2020).

რაც შეეხება ეკონომიკის პოსტპანდემიურ განვითარებას, იზოლაციონიზმის გზით ამის ჯეროვან დონეზე მიღწევა ასევე შეუძლებელი იქნება (Åslund 2020; Fung 2020).

გლობალიზაციის ამჟამად გამოხატულ უპირატესობებზე მეტყველებს კორონომიკური კრიზისის დროს ინტერნეტექნოლოგიების გამოყენების (განსაკუთრებით, განათლებასა და ვაჭრობაში) გააქტიურება.

ამჟამად, რომ მხოლოდ გლობალიზაციის პირობებშია შესაძლებელი პანდემიის გლობალური ფენომენის და მასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა (Abesadze 2020). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ COVID-19-ის პანდემიით სტიმულირებული დეგლობალიზაცია სინამდვილეში ფსევდოდეგლობალიზაციაა (Papava 2021a).

სწორედ პანდექსიტის მისაღწევად და პოსტპანდემიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისთვის დღის წესრიგში დგება გლობალიზაციის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის აუცილებლობა, სხვა სიტყვებით – მსოფლიო დგას გლობალიზაციის ახალი „ტალღის“ წარმოქმნის წინაშე (El-Erian 2020).

განახლებული გლობალიზაციის მომავალ კონტურებზე არსებობს არაერთგვაროვანი და მეტ-ნაკლებად საკამათო მოსაზრებებიც (მაგალითად, Schwab and Malleret 2021), თუმცა ამ ეტაპზე, ჩვენი აზრით, შეიძლება დარწმუნებითაც კი ითქვას, რომ ამ განახლებული გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას შეიძენს

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების დარეგულირება, რომელთა შორის წინა პლანზე წამოიწევს სასურსათო (Blair and Kalibata 2020) და ენერგეტიკული (მაგალითად, Tvalchrelidze and Silagadze 2020) უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მაშასადამე, COVID-19-ის პანდემიამ არა მარტო გლობალური მასშტაბის საფრთხე შექმნა, არამედ იმავდროულად ხელი შეუწყო იმის გააზრებას, თუ რა შესაძლებლობები უნდა იყოს გამოყენებული უშუალოდ პანდემიის და შემდეგ პანდექსიტის პირობებში, რაც ასევე უკავშირდება განახლებული გლობალიზაციის შესაბამისი კონტურების გაცნობიერებულ ფორმირებას (ჭარაია 2020).

დიდი თუ პატარა სახელმწიფო?

ეკონომისტებისთვის წლებია აქტუალურობას არ კარგავს საკითხი სახელმწიფოს ოპტიმალური ზომის შესახებ. დავის საგნად რჩება სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის, ასევე ამ ჩარევის მასშტაბებთან დაკავშირებული თემები. ბუნებრივია, რომ COVID-19-ის პანდემიამ კიდევ ერთხელ აქცია მსჯელობის საგნად საკითხი სახელმწიფოს როლის შესახებ როგორც პანდემიის და კორონომიკური კრიზისის პირობებში, ისე პანდექსიტის შემთხვევაშიც (მაგალითად, არჩვაძე 2020ბ; ბენაშვილი 2020; ჩიხლაძე, ხიდაშელი და უგულავა 2021; Bedianashvili 2021; Kakulia and Kapanadze 2020).

ნამდვილად არაა საკამათო, რომ ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი იზრდება. ბუნებრივია, COVID-19-ის პანდემიის დაძლევა და კორონომიკურ კრიზისთან გამკლავება სახელმწიფოს აქტიური როლის გარეშე შეუძლებელია (Rodrik 2020; Stiglitz 2020a). ამ მხრივ საყურადღებოა ეკონომიკაში ნობელის პრემიის 17 ლაურეატის ერთობლივი განცხადება, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ეკონომიკურ სკოლებს მიეკუთვნებიან, ერთიანი პოზიციით მხარს უჭერენ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ფართომასშტაბიან ეკონომიკურ პროგრამას (Goodkind 2021).

საყურადღებოა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებული ტრადიციული სქემების მიხედვით, სახელმწიფო ეკონომიკის დანამატია, თუმცა წარმოების ფაქტორების თანამედროვე თეორიის თანახმად (Papava 1993, 2017), სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების ერთ-ერთი დამოუკიდებელი ფაქტორია და მისი ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა ისეთივე აუცილებლობაა, როგორც წარმოების სხვა ფაქტორების. ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, როგორც წარმოების ფაქტორი, „მოერგება“ იმ სიტუაციას, რომელსაც ქმნის კორონომიკური კრიზისი (Papava and Chkuaseli 2021a, 2021b). მართლაც, COVID-19-ის პანდემიის და კორონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფო ხარჯებს სამი მიმართულებით ზრდის. კერძოდ, ესენია ჯანდაცვის სისტემის

გაძლიერება-განვითარება, მოსახლეობის შეჭირვებული ფენების ეკონომიკური დახმარება და საქმიანობაშეჩერებული ფირმებისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტის გამო იზრდება ეროვნულ მთავრობათა როლი – დაეხმარონ ფირმებს პოტენციური, ალტერნატიული მიწოდებლების მოძიებაში (Marin 2021a).

აუცილებლად ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მომავალშიც არ არის გამორიცხული COVID-19-ის მსგავსი ვირუსის გავრცელება, რომელიც შეიძლება პანდემიადაც ჩამოყალიბდეს. ამ შემთხვევაში, COVID-19-თან ადამიანთა თანაარსებობის და პანდემიის პირობებში ეკონომიკის ფუნქციონირების გამოცდილება (Gigerenzer 2020), რომლის აკუმულირებაც მოხდა COVID-19-ის პანდემიის დროს, ძალზე მნიშვნელოვანია.

ჩვენი აზრით, ეკონომიკის გაძლოლაში სახელმწიფოს როლის განსაზღვრისას აუცილებელია ვიხედმძღვანელოთ იმ დებულებით, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების დამოუკიდებელი ფაქტორია და საუკეთესო შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები არ უნდა „გასცდეს“ წარმოების ამ ფაქტორის „სამოქმედო“ ჩარჩოს. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის და ამის დასტურია, ზოგადად, ეკონომიკური კრიზისების და, კერძოდ, კორონომიკური კრიზისის დროს ჩამოყალიბებული „კონფლიქტი“ სახელმწიფოს პოლიტიკურ ფუნქციასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს შორის, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკის ზომბირება

როცა საუბარია პოსტპანდემიურ ეკონომიკურ ზრდაზე, აქცენტები კეთდება ისეთ სექტორებზე, როგორიცაა ციფრული ტექნოლოგიები, ბიომედიცინა და ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც კლიმატის ცვლილების პირობებში მდგრად განვითარებაზე იქნებიან ორიენტირებული (Spence 2021a).

COVID-19-ის პანდემიის პირობებში ეკონომიკაში ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა, რომლებიც აქტუალურია არა მარტო კორონომიკური კრიზისის დროს, არამედ მნიშვნელობას პანდექსიტის შემდგომ პერიოდშიც შეინარჩუნებენ. კერძოდ, ეს ტენდენციებია:

1. ეკონომიკის ყველა იმ დარგში, სადაც მოხერხდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება, მათ მიაღწიეს შრომის მწარმოებლურობის არსებით ზრდას და ეს ტენდენცია იმდენად მყარია, რომ პანდექსიტის შემდეგაც აუცილებლად იქნება არა უბრალოდ შენარჩუნებული, არამედ უფრო მეტად გაღრმავებულიც (Mischke et al. 2021);

2. კორონომიკური კრიზისის დროს გადახდისუნარო ფირმების ლიკვიდაციის ბლოკირებამ და ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში ამ ფირმების სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურმა მხარდაჭერამ ეკონომიკის ზომბირების პროცესს შეუწყო ხელი (Pazarbasioglu and Weeks-Brown 2022; Stiglitz 2020b; Zingales 2021).

პირველი ტენდენციის თანახმად, შრომის მწარმოებლურობა განსაკუთრებით გაიზრდება ისეთ დარგებში, როგორცაა, მაგალითად, ჯანდაცვა, მშენებლობა, საცალო ვაჭრობა და მრეწველობა (Tyson and Mischke 2021). ეს ტენდენცია უმთავრესად განვითარებული ქვეყნების პრეროგატივაა, ხოლო რაც შეეხება განვითარებად, განსაკუთრებით კი, ღარიბ ქვეყნებს, მათ უმწვავეს პრობლემად კვლავ ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა დარჩება (Rodrik 2021). საყურადღებოა, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში ინტერნეტიზაციის სფეროში განვითარებადი ქვეყნების განვითარებულებთან შედარებით ჩამორჩენამ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შეიძინა (Passaris 2021).

აქვე იმასაც უნდა გავსვას ხაზი, რომ თავად განვითარებულ ქვეყნებში ციფრულ ტექნოლოგიებზე უმთავრესად კონცენტრირებული არიან მსხვილი ფირმები, მცირე ფირმებს კი, მათ ხელთ არსებული შედარებით მოკრძალებული ფინანსების გამო, ეს შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ. შედეგად, მსხვილი ფირმების დომინირების გაძლიერება შეზღუდავს კონკურენციას და იმავე მსხვილ ფირმებს ნაკლები მოტივაცია ექნებათ დარჩენენ ინოვაციებზე ორიენტირებული (Eichengreen 2021).

პოსტპანდემიურ პერიოდში მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად პოლიტიკოსების ინტერესში ნამდვილად არ არის კორონომიკური კრიზისის პირობებში დიდი რაოდენობის ფირმების გაკოტრება, რაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება (Pazarbasioglu and Weeks-Brown 2022; Roubini 2021b). სწორედ ამიტომ კორონომიკური კრიზისის პირობებში ფირმებთან მიმართებით გაძლიერდა ის მიდგომა, რომელიც „რბილ საბიუჯეტო შეზღუდვებს“ ეფუძნება, როცა ფირმებს შეუძლიათ ზარალის იგნორირება, რადგან მათ ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფო აღმოუჩენს დახმარებას (Bhidé 2021). ამას კი უშუალოდ ეკონომიკის ზომბირებასთან მივყავართ (Stiglitz 2020b; Zingales 2021).

პრობლემის არსი ისაა, რომ კორონომიკური კრიზისის პირობებში ფირმების უმრავლესობისათვის უმთავრესი პრობლემა გადახდისუნარიანობის შემცირებაა. პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, მთავრობები, ამომრჩეველთა მხარდაჭერის შენარჩუნების მიზნით, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ გაკოტრების ისეთ კანონმდებლობას, რომელიც შეაფერხებს ამ ფირმების ლიკვიდაციის შესაძლებლობას (Pazarbasioglu and Weeks-Brown 2022). კორონომიკური კრიზისის დროს გაკოტრებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისას სწორედ ეს მიდგომა გამოკვეთილად

პრიორიტეტული (Boon 2020). პანდექსიტის შემდეგაც, ისევ და ისევ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, გამორიცხულია გაკოტრების ისეთი მექანიზმის გამოყენება, რომელიც გადახდისუნარო ფირმების ლიკვიდაციას უზრუნველყოფენ (Papava 2020b, 2021c). სხვა სიტყვებით – ეკონომიკის ზომბირების პროცესს ვერც პანდექსიტი დაასრულებს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ კონფლიქტი, რომელიც ეკონომიკური კრიზისების დროს ყალიბდება სახელმწიფოს პოლიტიკურ ფუნქციასა (დემოკრატიული არჩევნების ჩატარება) და სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს (როგორც წარმოების დამოუკიდებელ ფაქტორს) შორის, მთავრდება პოლიტიკური ფუნქციის სასარგებლოდ, რადგანაც ფაქტია, რომ პოლიტიკოსებისთვის პერიოდულად ჩასატარებელ პოლიტიკურ არჩევნებში გამარჯვებას, ეკონომიკის ეფექტიანად წარმართვასთან შედარებით, ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს (Papava and Chkuaseli 2021a, 13-14).

ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების ისტორიაში ეკონომიკის ზომბირების პირველი შემთხვევა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში იაპონიაში დაფიქსირდა (მაგალითად, Hoshi 2006; Kane 2000). 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს კი ეკონომიკის ზომბირება უკვე გლობალური მასშტაბით გაფართოვდა (მაგალითად, Harman 2009; Onaran 2012; Pazarbasioglu and Weeks-Brown 2022; Quiggin 2010). ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ეკონომიკის ზომბირების პროცესმა თავისი აქტუალურობა კორონომიკური კრიზისის დაწყებამდეც შეინარჩუნა (Krugman 2020). ესეც არის იმის პრაქტიკულად დადასტურებული არგუმენტი, რომ ზომბირებული ეკონომიკიდან თავის დაღწევა პანდექსიტის შემდეგაც ვერ იქნება შესაძლებელი.

მაშასადამე, პანდექსიტის შემდეგ ეკონომიკურ ზრდას კორონომიკური კრიზისიდან „მემკვიდრეობით“ მიღებული ორი „შემადგენელი“ ექნება: ციფრული ტექნოლოგიები და ზომბირებული ეკონომიკა. ეს უკანასკნელი კი მოწინავე და დამწვევი ზრდის (Hudson 2015) მისაღწევად აშკარად შემადფერხებელი იქნება.

„ჩინფლაცია“ და ნაკლებწარმოების ინფლაცია

კორონომიკური კრიზისის დროს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა მაღალი ინფლაციაა, რაც პოლიტიკოსებისა და ეკონომისტებისთვის უმნიშვნელოვანეს გამონვევად იქცა (მაგალითად, Acemoglu 2021a; Barro 2021; El-Erian 2021b; Krugman 2022a; Reinhart and Luckner 2022). საკითხის პოლიტიზაციის თვალსაჩინო მაგალითად უნდა ჩაითვალოს აშშ-ში მაღალი ინფლაციისათვის „ბაიდენფლაციის“ (“Bidenflation”) სახელის დარქმევა (Cassidy 2021).

ფაქტია, რომ განსაკუთრებით მაღალი ინფლაციის დონე 2021 წელს დაფიქსირდა, თუმცა მანამდე პრაქტიკულად არავის უწინასწარმეტყველია იმის შესახებ, რომ კორონომიკური კრიზისის ერთ-ერთი უმწვავესი

გამოწვევა ინფლაციის ზრდა იქნებოდა (Furman 2022). მართალია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი თვლის, რომ 2022 წლის შუა პერიოდიდან ინფლაცია პანდემიამდელ დონეს დაუბრუნდება (Caselli and Mishra 2021), თუმცა ეს მოსაზრება არ არის საყოველთაოდ აღიარებული, რადგან 2021 წლის შედეგების გადასახედიდანაც კი ძნელია იმის განჭვრეტა, თუ როგორი იქნება ინფლაცია 2022 წელს (O'Neill 2021a). აქ ისიც არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რომ ინფლაციის მაღალი დონე უარყოფითად აისახება აქციებისა და ობლიგაციების ფასებზე (Roubini 2022). თანაც, კორონომიკური კრიზისით შექმნილ ვითარებაში სტაგფლაციის საფრთხეც სულ უფრო მეტად რეალური ხდება (El-Erian 2021a; Roubini 2021a, 2021c).

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ყველაზე რთულია ინფლაციის პროგნოზირება, ხოლო COVID-19-ის პანდემიის დროს ეს ამოცანა კიდევ უფრო გართულდა, რადგანაც კორონომიკური კრიზისის უნიკალურობიდან გამომდინარე პანდემიამდელი პერიოდის თუნდაც 50-წლიანი სტატისტიკური ბაზა ამ კრიზისის პირობებში ინფლაციის პროგნოზირებისთვის პრაქტიკულად გამოუსადეგარია (Weber A. 2021).

საყურადღებოა, რომ ეკონომისტები ჭერჭეროვით არ არიან სრულად შეთანხმებული ინფლაციის მაღალი დონის შესამცირებლად კონკრეტულად რომელ მიდგომას (სახელმწიფო ხარჯების შემცირება და საპროცენტო განაკვეთის აწევა, ან საპროცენტო განაკვეთის შემცირება, ან ფასებზე სახელმწიფო კონტროლის შემოღება) მისცენ უპირატესობა (Rodrik 2022). იმისათვის, რომ ჩამოვყალიბდეთ, ინფლაციის მაღალი დონის შესამცირებლად რომელ მიდგომას უნდა მიეცეს უპირატესობა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური მეცნიერება არ არის უნივერსალური, ის კონტექსტუალურია (Rodrik 2016). სწორედ ეკონომიკური მეცნიერების კონტექსტიდან უნდა ავხსნათ კორონომიკური კრიზისით გამოწვეული ინფლაციის ბუნება (Rodrik 2022). სხვა სიტყვებით – გასარკვევია ის, თუ რამ გამოიწვია ინფლაცია: მოთხოვნის ზრდამ, მიწოდების შემცირებამ თუ ამ ორის რაღაც კომბინაციამ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაკეთდეს არჩევანი ინფლაციის შეჩერების ამა თუ იმ მიდგომის სასარგებლოდ (Sachs 2021). იმავდროულად, ეს დაგვეხმარება იმის გარკვევაშიც, მაღალი ინფლაცია კორონომიკური კრიზისის დროს რამდენადაა კარგი მოვლენა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის (James 2021).

როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, კორონომიკური კრიზისის დროს ეროვნულმა მთავრობებმა მოსახლეობას აღმოუჩინეს ფინანსური დახმარება, რაც გარკვეული დოზით იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ამ კრიზისის დროს ინფლაციის დონის მატება მოთხოვნის ზრდითაა გამოწვეული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის პანდემიის გამო სარესტორნო ბიზნესის, ტურისტული სექტორის და სამოქალაქო ავიაგადაზიდვების შეჩერებამ გამოიწვია, რომ სამომხმარებლო კალათაში

გაიზარდა საქონლის შესყიდვაზე განეული ხარჯები, რამაც ამ საქონლის გაძვირებას შეუწყო ასევე ხელი (Weber A. 2021).

ცალკე ხაზგასასმელია გარემოება, რომ კორონომიკურმა კრიზისმა მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა გამოიწვია (Derviş and Strauss 2020), რამაც მიწოდების შემცირება და, შესაბამისად, ინფლაციის დონის მატებაც განაპირობა. იყო იმის მოლოდინი, რომ ინფლაციის ზრდა განპირობებული იყო მიწოდების მხრიდან მოკლევადიანი შეფერხებებით (Stiglitz 2021), თუმცა როგორც მოგვიანებით გამოიკვეთა, ფაქტობრივად სახეზეა გლობალური საწარმოო სისტემის კრახი (Coyle 2021).

ამრიგად, ინფლაციის დონის მატების მიზეზი კომპლექსურია, რადგან ის არა მარტო მოთხოვნის ზრდით, არამედ, უფრო მეტადაც, მიწოდების შემცირებითაცაა გამოწვეული. აქ გასათვალისწინებელია, რომ ცენტრალური ბანკების ხელთ არის მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაციის რეგულირების ინსტრუმენტები მაშინ, როცა ცენტრალური ბანკების მიერ მიწოდების დარღვეული გლობალური ჯაჭვების აღდგენა და ამით მიწოდების შემცირებით გამოწვეული ინფლაციის დარეგულირება პრინციპულადაა შეუძლებელი. ამ ვითარებამ გარკვეული დაბნეულობა შეიტანა ცენტრალური ბანკების მიერ გატარებულ ღონისძიებებში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეს ბანკები მონეტარულ პოლიტიკაში ინფლაციის თარგეტირების რეჟიმს გამოიყენებენ (მაგალითად, Chikobava 2021; Cochrane 2021; Roach 2022). კერძოდ, ფულის მასის შემცირების გზით მოთხოვნის შეზღუდვის მიზნით ამ ბანკებმა ასწიეს საპროცენტო განაკვეთი, რამაც გააძვირა ფული და ფირმებს მიწოდების ზრდისათვის სესხის აღება კიდევ უფრო გაურთულა (თუმცა ამ ღონისძიებით იმავდროულად ხელი შეეწყო დანაზოგების ზრდას, რაც მომავალში დაკრედიტების დამატებითი წყარო გახდება). შედეგად მივიღეთ სიტუაცია, როცა ცენტრალურმა ბანკებმა მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაცია კიდევ უფრო მეტად ჩაანაცვლეს მიწოდების შემცირებით გამოწვეული ინფლაციით.

ხაზგასასმელია, რომ კორონომიკური კრიზისის პირობებში ინფლაციის ზრდის უმთავრესი ფაქტორი მიწოდების შემცირებაა, რომელიც გამოწვეულია მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევით. სწორედ ამიტომ ამ ტიპის ინფლაციისთვის გაჩნდა ტერმინი „მიწოდების ჩეინფლაცია“ (“Supply-Chaininflation”) (Pride, Reynolds and Vovk 2022). ტერმინი „ჩეინფლაცია“ წარმოქმნილია ორი ინგლისური სიტყვის “chain” (ქართულად „ჯაჭვი“) და “inflation” („ინფლაცია“) გაერთიანებით. რადგანაც მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევით არა უბრალოდ მცირდება მიწოდება, არამედ მთელი ტექნოლოგიური ციკლების შემკვრელი ჯაჭვების რღვევის გამო უშუალოდ წარმოებაც ეცემა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მიწოდების ჩეინფლაცია **ნაკლებწახმოების ინფლაციის** (underproduction inflation) ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია (Papava 2022).

უმთავრესი შეცდომა, რომელსაც უშვებენ კორონომიკური კრიზისის დროს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, არის ის, რომ ამ კრიზისით გამოწვეულ ინფლაციას მაკროეკონომიკურ პრობლემად მიიჩნევენ (Galbraith 2021) მაშინ, როცა სინამდვილეში ინფლაცია უმთავრესად მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევითაა განპირობებული. სხვა სიტყვებით – *კორონომიკური კრიზისით გამოწვეული ინფლაცია თავისი ბუნებით ინსტიტუციური პრობლემა არ არის*.

მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა მოხდა სხვადასხვა სახეობის საქონელზე. მაგალითად, აშშ-ის ეკონომიკისთვის განსაკუთრებული სიმწვავით ეს პრობლემა გამოიკვეთა შემდეგ პროდუქტებზე: ნახევარგამტარები, დიდი ტევადობის ბატარეები, რომლებიც გამოიყენება ელექტრომობილებში, მნიშვნელოვანი მინერალები და მასალები, ფარმაცევტული პრეპარატები და თანამედროვე ფარმაცევტული ინგრედიენტები (Marin 2021a). რაც შეეხება საშენ მასალებზე ფასების ზრდას, რაც მიწოდების შესაბამისი გლობალური ჯაჭვების რღვევითაა განპირობებული, ამან განაპირობა საცხოვრებელზე ფასების ზრდა, ანუ ჩამოყალიბდა „საცხოვრებელი ბუშტი“, რომელიც აუცილებლად გასკდება, როგორც კი მიწოდების გლობალურ ჯაჭვებში არსებული რღვევის პრობლემა მოიხსნება (Krugman 2022b).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კორონომიკური კრიზისის დროს ინფლაციის უმთავრესად მაკროეკონომიკურ პრობლემად აღქმა არის ცენტრალური ბანკების მიერ დაშვებული შეცდომის საფუძველი, რომელიც განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს ამ ბანკების მიერ გატარებულ მონეტარულ პოლიტიკაში ინფლაციის თარგეტირების რეჟიმის გამოყენებისას. ამ უკანასკნელის უარყოფითი მხარეები ჯერ კიდევ 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს გამოვლინდა (მაგალითად, Frankel 2012; Weber A. 2015). აქვე განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მონეტარულ პოლიტიკაში ინფლაციის თარგეტირების რეჟიმის უსუსურობა ყველაზე ნათლად იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში ჩანს (Stiglitz 2008). აუცილებლად ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა აძვირებს იმპორტს, რაც სხვა თანაბარ პირობებში ნებისმიერი იმპორტდამოკიდებული ქვეყნის ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას განაპირობებს, რისი დარეგულირების შესაძლებლობაც ინფლაციის თარგეტირების რეჟიმში მყოფ ცენტრალურ ბანკებს უბრალოდ არ გააჩნიათ.

კორონომიკური კრიზისის დროს განსაკუთრებული სიმწვავით დადგა სურსათზე ფასების დონის ზრდის პრობლემა (Ghosh 2022; Reinhart and Luckner 2022), რომელიც თავისი ხასიათით, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნა, სულაც არ არის მაკროეკონომიკური ბუნების. არა მარტო კორონომიკური კრიზისის დროს, არამედ ზოგადად, ღარიბი მოსახლეობისთვის ინფლაციის მაჩვენებელზე უფრო დიდი მნიშვნელობა

აქვს ამ მაჩვენებლის ისეთ მოდიფიკაციებს, როგორებიცაა აგფლაცია (agflation) (აგრარული ინფლაცია, ანუ სურსათზე ფასების დონის ზრდა), მანფლაცია (munflation) (სამედიცინო სფეროში (medication), კომუნალურ მომსახურებასა (utilities) და კვებაზე (nutrition) ფასების დონის ზრდა) და იმფლაცია (imflation) (იმპორტზე ფასების დონის ზრდა) (Charaia and Papava 2017, 2018). აღვნიშნავთ, რომ მონეტარულ პოლიტიკაში, ინფლაციასთან ერთად იმფლაციის მიზნობრივი ინდიკატორების ერთდროული გათვალისწინებით, „იმფლაციის კომპლექსური თარგეტირების“ რეჟიმი, ინფლაციის თარგეტირების რეჟიმთან შედარებით, ბევრად უფრო მოქნილია და აშკარად უკეთეს შედეგებს იძლევა, განსაკუთრებით, იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებში (Papava and Charaia 2019).

მოსახლეობისა და მთლიანად ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მიზანშეწონილია სტრატეგიულ ფასებზე (მაგალითად, ნავთობის ფასზე) დანესდეს კონტროლი (Weber I. 2021). ითვლება, რომ თუ 2022 წლის ზაფხულამდე ვერ მოხერხდება მიწოდების დარღვეული გლობალური ჯაჭვების აღდგენა, მაშინ სტრატეგიული ფასების დარეგულირება გარდაუვალი იქნება (Galbraith 2022). მიწოდების დარღვეული გლობალური ჯაჭვების აღდგენისა და, უფრო მეტად კი, განახლების პროცესის დასრულება, სავარაუდოდ, დროის შედარებით მოკლე პერიოდში ნაკლებადაა შესაძლებელი. ნიშნავს თუ არა ეს ცენტრალური ბანკების მიერ ინფლაციის მართვის შეუძლებლობას და სტრატეგიულ ფასებზე კონტროლის დანესების გარდაუვალობას?

სინამდვილეში, ცენტრალურმა ბანკებმა მათ ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მოთხოვნის დონე უნდა შეუსაბამოს, „მოარგოს“ მიწოდების შემცირებულ დონეს (Cochrane 2021). ამის მიღწევა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუმცა ძალიან ცუდი შედეგებით დამთავრდება, რადგანაც ისედაც შემცირებული მიწოდების ზრდას დაამუხრუჭებს (Stiglitz 2022a).

მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა თავის ბუნებით დეგლობალიზაციური მოვლენაა, ამიტომ დეგლობალიზაციასა და მიწოდების ჩეინფლაციას შორის უშუალო კავშირი აშკარად იკვეთება (Marin 2021b).

მიწოდების ჩეინფლაციის დაძლევა შესაძლებელი იქნება არა უბრალოდ და არა იმდენად დარღვეული ჯაჭვების უშუალო აღდგენით, რამდენადაც გლობალიზაციის ახლებური გააზრების საფუძველზე შემუშავებული მიდგომით (Rogoff 2021). კერძოდ, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პანდექსიტის კონტექსტში გლობალური ეკონომიკისათვის მიწოდების გაფართოებისა და პროდუქტიულობის ზრდის პრობლემა განსაკუთრებით პრიორიტეტული ხდება (Spence 2022). თანაც იმ გარემოებასაც უნდა მიეცეს ყურადღება, რომლის თანახმადაც, ის

ქვეყნები, რომლებიც COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე ავითარებდნენ ეკონომიკის რეალურ სექტორს, ამ კრიზისით გამოწვეულ სირთულეებს უფრო უკეთ მომზადებულნი შეხვდნენ (Stiglitz 2022b).

კორონომიკური კრიზისის პირობებში აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის თანახმადაც, დღის წესრიგში დადგა ადრე ქვეყნიდან გატანილი წარმოების უკან დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ ამით წარმოების ხარჯები, როგორც წესი, იზრდება (Issing 2021). თავის მხრივ, ეს განაპირობებს წარმოების ხარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციას (McConnell and Brue 2008, 136). ამ შემთხვევაში, წარმოების ხარჯების ზრდის გამო მენარმეების მიერ მზა პროდუქციაზე გაზრდილი ფასები თუ მიიღო ბაზარმა, მაშინ ინფლაციის მატებას უშუალოდ ექნება ადგილი; თუკი ბაზარმა ეს გაზრდილი ფასები არ მიიღო, მაშინ ზოგიერთი მენარმე იმის გამო, რომ არ დაკარგოს მისაღები მოგება, დატოვებს ბაზარს (და გადაერთვება სხვა საქმიანობაზე), რაც გამოიწვევს მიწოდების შემცირებას და, შესაბამისად, ფასების ზრდას.

წარმოების ხარჯების ზრდა ისევე, როგორც მიწოდების ჯაჭვების წყვეტა, იწვევს წარმოების დონის შემცირებას, რაც ასევე არის ნაკლებწარმოების ინფლაციის მიზეზი.

მაშასადამე, მიწოდების ჩეინფლაციიდან გამოსვლა, სხვა თანაბარ პირობებში, დიდი ალბათობით განაპირობებს წარმოების ხარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაკლებწარმოების ინფლაციის ერთ მიზეზს (ანუ მიწოდების ჯაჭვების წყვეტას) მეორე (ანუ წარმოების ხარჯების ზრდა) ჩაანაცვლებს.

როგორც ცნობილია, პანდემიამდელი გლობალიზაციის დროს მიწოდების გლობალური ჯაჭვები იქმნებოდა ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპის საფუძველზე. პასუხგასაცემია კითხვა, თუ რამდენადაა საჭირო კორონომიკური კრიზისის პირობებში და, ასევე, პანდემიისას ამ სქემის უარყოფა? ჩვენი აზრით, ეს სქემა არა უარყოფას, არამედ სრულყოფას საჭიროებს. კერძოდ, აღსადგენი თუ სრულიად ახალი მიწოდების ჯაჭვების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელი არა მარტო COVID-19-ის პანდემიის, არამედ მომავალში შესაძლო პანდემიით გამოწვეული რისკები.

დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე შეიძლება რამდენიმე პრინციპულ მიდგომაზე აქცენტის გაკეთება. კერძოდ, კორონომიკური კრიზისის დროს დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიწოდების გლობალური ჯაჭვების ფორმირებაში იკვეთება სამი მიმართულება (Marin 2021a):

1. ადრე ქვეყნიდან გატანილი წარმოების უკან, იმავე ქვეყანაში დაბრუნება;
2. მიწოდების ჯაჭვების ფუნქციონირებაში რყევებისგან დაზღვევის მიზნით რესურსების დამატებითი მარაგების შექმნა;

3. ფირმების მიერ რესურსების სხვადასხვა, დივერსიფიცირებული წყაროდან მიღება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაცია სულაც არ არის ადვილი განსახორციელებელი, თანაც, რაც უფრო რთულდება მიწოდების ჯაჭვი, შესაბამისი ეკონომიკური რისკიც მით უფრო იზრდება (Acemoglu 2021b).

მიწოდების გლობალური ქსელების სირთულიდან გამომდინარე, ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგება მიწოდებათა ჯაჭვების ფორმირების, ფუნქციონირებისა და შესაძლო რყევებზე მათი რეაგირების მოდელების შექმნისა და განვითარების აუცილებლობის საკითხი (Spence 2021b).

გაზრდილი სახელმწიფო ვალი – სავალო კრიზისის საფრთხე

კორონომიკურმა კრიზისმა, როგორც შემოთავაზებულა, სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების კლება (საქმიანობაშეჩერებული ფირმები გადასახადებს ვეღარ იხდიან) და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის არსებითი ზრდა (ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების გაზრდის, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისა და საქმიანობაშეჩერებული ფირმებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის გამო) განაპირობა. ამ საბიუჯეტო დისბალანსის აღმოფხვრის მიზნით ეროვნული მთავრობები იძულებული გახდნენ მნიშვნელოვნად გაეზარდათ სახელმწიფო ვალი, რომელიც, როგორც ცნობილია, ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალების ჯამია.

განვითარებულმა ქვეყნებმა, ძირითადად, გაზარდეს ქვეყნის საშინაო ვალი, ხოლო განვითარებადმა ქვეყნებმა, მათ ხელთ არსებული მწირი დანაზოგების გამო, უმთავრესად საგარეო ვალის ზრდას მიმართეს.

სახელმწიფო ვალის ზრდა უშუალოდ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში და, როგორც ცნობილია, ქმნის ეკონომიკური განვითარებისთვის სირთულეებს როგორც ქვეყნის (მაგალითად, Charaia and Papava 2021; Papava and Charaia 2021), ისე მისი ცალკეული რეგიონების (მაგალითად, Jibuti 2020) დონეებზე.

დიდი მოცულობით სახელმწიფო ვალის დაგროვება მიზანშეწონილი არ არის, რადგანაც ეს ართულებს მისი გადახდისა და სტაბილური მომსახურების შესაძლებლობას, რაც სხვა თანაბარ პირობებში შეიძლება სავალო კრიზისში გადაიზარდოს (მაგალითად, Asonuma et al. 2019).

კორონომიკური კრიზისის ფონზე თითქმის ყველა ქვეყანა იძულებული გახდა ცვლილებები შეეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალის ზრდა იყო (IMF 2020b).

ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობა, მოემსახუროს და გაისტუმროს სახელმწიფო ვალი, განისაზღვრება ამ ვალის თანაფარდობით მოცემული ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტთან (Gross Domestic Product – GDP).

წლების განმავლობაში იზრდებოდა სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ვალი, რის შედეგადაც, ჯერ კიდევ კორონომიკური კრიზისის დაწყებამდე ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო ვალი არა მარტო საერთაშორისოდ აღიარებულ GDP-ის 90%-იან ზღვარს (მაგალითად, Krugman 2022c), არამედ თავად GDP-საც აღემატებოდა (Basu 2020). ამ კუთხით აშკარად გამოკვეთილი ლიდერია მსოფლიოში სიდიდით მესამე ეკონომიკის ქვეყანა – იაპონია (მაგალითად, Jacobs 2022). ამ კრიზისის პირობებში კი, როგორც ეს უკვე ზემოთ აღინიშნა, მსოფლიოში, როგორც არასდროს, სახელმწიფო ვალის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (Ghosh 2020). მაგალითად, 2020 წლის დეკემბრისთვის ვენესუელის სახელმწიფო ვალმა GDP-ის 350% შეადგინა, იაპონიის – 266%, სუდანის – 259%; საბერძნეთის – 206%, ლიბანის – 172%, იტალიის – 156%, ლიბიის – 155%, პორტუგალიის – 134%, სინგაპურის – 131%, აშშ-ის – 128%, ესპანეთის – 120%, იამაიკის – 110%, მონტენეგროს – 103% და ა.შ. (Trading economics, n.d.).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2019 წლამდე გლობალური სახელმწიფო ვალი 2019 წელს გლობალური GDP-ის 83%-ს შეადგენდა, ხოლო 2020 წლისათვის 100%-ს მიაღწია (IMF 2020a, IX). ფაქტია, რომ 2020 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად (sharply) გაიზარდა, თუმცა 2021 წლისთვის დასტაბილურდა, რა მდგომარეობაც, სავარაუდოდ, 2026 წლამდე გაგრძელდება (IMF 2021, 2).

როგორც ვხედავთ, მრავალ პრობლემათა შორის, რომელიც კორონომიკურმა კრიზისმა გაამწვავა და მათი გადაწყვეტის აუცილებლობა წინა პლანზე წამოსწია, ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო ვალის სწრაფი და მნიშვნელოვანი ზრდაა.

გაზრდილი სახელმწიფო ვალი კი პანდექსიტის მომდევნო წლებში როგორც განვითარებული, ისე, უმთავრესად, განვითარებად ქვეყნებს, დიდი ალბათობით, სერიოზული ფისკალური წნეხის ქვეშ მოაქცევს. აქედან გამომდინარე, დიდი ოცეულის ქვეყნებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იქნება ამ ვალის რესტრუქტურისაციის ახალი გლობალური სისტემის შექმნის საკითხი, რათა გლობალური სავალუტო კრიზისი იქნეს თავიდან აცილებული.

დასკვნის მაგიერ, ანუ მაინც რას უნდა ველოდოთ?

მას შემდეგ, რაც 2021 წელს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინები შეიქმნა და მსოფლიოში მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მეტ-ნაკლები წარმატებით დაიწყო, ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესებული შეზღუდვები თანდათანობით მოიხსნა, რამაც ეკონომიკა გამოაცოცხლა

და ეკონომიკური ზრდაც დაფიქსირდა. სხვა სიტყვებით, ჯერ არ განხორციელებული პანდექსიტის პირობებში გამოიკვეთა კორონომიკური კრიზისის დასასრულის დასაწყისი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოვლენათა განვითარების ოთხი სცენარი:

1. მსოფლიოს მოსახლეობის ვაქცინაციის შეფერხებების (მაგალითად, ქვეყნებს შორის ვაქცინების არასათანადო განაწილების ან საერთაშორისო ანტივაქსერული მოძრაობის გამო) შემთხვევაში, კორონავირუსის ახალი შტამების წარმოქმნა-გავრცელების ალბათობა საკმაოდ მაღალია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების განახლება, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად იმოქმედებს;
2. მსოფლიოს მოსახლეობის ვაქცინაციაში არსებული შეფერხებების მიუხედავად, კორონავირუსის ყოველი ახალი შტამი შესაძლოა წინამორბედთან შედარებით უფრო სუსტი იყოს, რამაც თანდათან გამოიწვიოს პანდექსიტის დასრულება ისე, რომ კრიზექსიტი უკვე მომხდარი იქნება;
3. მსოფლიოს მოსახლეობის ვაქცინაციაში არსებული შეფერხებების მიუხედავად და კორონავირუსის მკურნალობის ეფექტიანი პრეპარატების შექმნისა და გავრცელების კვალობაზე, შესაძლოა შენარჩუნებულ იქნეს ეკონომიკური ზრდის ტენდენცია, რაც კრიზექსიტისთვის კიდევ უფრო მყარ საფუძველს შექმნის;
4. ერთდროულად ადგილი ექნება მეორე და მესამე სცენარებს.

2022 წლის დასაწყისის მდგომარეობით ყველაზე ნაკლებსავარაუდო პირველი სცენარია.

ნებისმიერ შემთხვევაში, პანდექსიტის უმთავრეს ეკონომიკურ გამოწვევათა შორის მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს დეგლობალიზაციის დაძლევა და განახლებული გლობალიზაციის ფორმატის შექმნა და განხორციელება. ეს თავისი არსით უნდა იყოს მართული პროცესი, რათა მომავალში COVID-19-ის პანდემიის მსგავსი და მასშტაბური გლობალური საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში, მსოფლიო მას ბევრად უფრო მომზადებული შეხვდეს.

ცალკეული ქვეყნისათვის კვლავ გამოწვევად დარჩება სახელმწიფოს ზომის საკითხი. თუმცა აუცილებელია იმის გააზრება, რომ ამ საკითხზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების დამოუკიდებელი ფაქტორის, სახელმწიფოს პოლიტიკური ფუნქციის ზეგავლენიდან „დაცვა“. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით რაიმე კონსტრუქციული მიდგომა ეკონომიკურ მეცნიერებას ჯერ არ შეუძუშავებია.

კორონომიკური კრიზისის პირობებში მთავრობის მხრიდან საქმიანობა შეჩერებული ფორმებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა არის ეკონომიკის ზომბირებისკენ მიმავალი გზა. ამის მწარე გამოცდილება დაგროვდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების იაპონიასა და მთლიანად მსოფლიოში 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის და კრიზისის შემდგომ პერიოდში. პრობლემის გადაწყვეტა უშუალოდ არის დამოკიდებული გაკოტრების შესახებ ქმედითუნარიანი კანონის მიღებაში, რასაც, როგორც წესი, სახელმწიფოს ზემოხსენებული პოლიტიკური ფუნქცია აღუდგება წინ.

ეკონომიკური საქმიანობის გლობალურმა შეჩერებამ გამოიწვია მიწოდების გლობალური ჭაჭვების რღვევა. შედეგად, შემცირდა მიწოდება, რამაც გაზარდა ინფლაცია, რომელსაც „მიწოდების ჩეინფლაცია“ დაერქვა. განახლებული გლობალიზაციის ეკონომიკური ქსელი დაეფუძნება მიწოდების ისეთ ახალ გლობალურ ჭაჭვებს, რომლებიც უფრო მეტად იქნება დაცული გლობალური საფრთხეებისგან, ვიდრე COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე იყო. შედეგად მოხდება წარმოების გადატანა იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც წარმოების ხარჯები შედარებით მაღალი იქნება, რაც სხვა თანაბარ პირობებში განაპირობებს წარმოების ხარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციას. მაშასადამე, ეს უკანასკნელი პანდექსიტის შემდგომი პერიოდისთვისაც იქნება დამახასიათებელი.

კორონომიკური კრიზისის პერიოდში, გადაუდებელი ამოცანების გადაჭრის მიზნით, მთავრობებმა გაზარდეს სახელმწიფო ვალის ოდენობა, რომელმაც არაერთ ქვეყანაში GDP-ს გადააჭარბა. შესაბამისად, პანდექსიტის ერთ-ერთი გამოწვევაა, რომ გაზრდილი სახელმწიფო ვალი გლობალურ სავალო კრიზისში არ გადაიზარდოს.

რატემა უნდა, პანდექსიტის ჩამოთვლილი ძირითადი ეკონომიკური გამოწვევების გარდა, არის სხვა პრობლემებიც, რომელთა შესწავლა და გადაწყვეტის გზების გამონახვა ცალკე, დამოუკიდებელი კვლევის საგანია. განსაკუთრებით საყურადღებო კი იმ ეკონომიკური პრობლემების შესწავლაა, რომლებიც რუსეთის მიერ 2022 წლის თებერვალში უკრაინაში დაწყებულ ომთან უშუალოდაა დაკავშირებული (მაგალითად, Hannon 2022).

გამოყენებული ლიტერატურა

- არჩვაძე, იოსებ. 2020ა. *კოხონავიხუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტიკონომიკური ასპექტები)*. თბილისი: „მნივნობარი“.
- არჩვაძე, იოსებ. 2020ბ. „სახელმწიფოს ფუნქციის ტრანსფორმაცია პოსტპანდემურ პერიოდში“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, XII (2): 63–68.
